საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-518

12/06/2019

ქ. თბილისი

მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბედითში ფ/პ ილია კოვალის სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ფ/პ ილია კოვალის მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია „მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბედითში ფ/პ ილია კოვალის სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაციის“ სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სასათბურე მეურნეობა მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფ. აბედითში ფიზიკური პირის ილია კოვალის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთის ფართობი შეადგენს 80 850 $მ^{2.}$ (საკადასტრო კოდი- 41.05.38.005 და 41.05.38.011). ტერიტორია უახლოესი საცხოვრებელი პუნქტიდან დაშორებულია 665 მ-ით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია მცირე ზომის სარწყავი სისტემის მოწყობა, ხეხილის ბაღის წყალმომარაგების მიზნით ფ/პ ილია კოვალი წყლის აღებას გეგმავს მდ. აბაშიდან.

სარწყავი სისტემის სიგრძე გათვალისწინებულია 115 მ, ხოლო პოლიეთილენის მილების დიამეტრი იქნება 50 მმ. მდინარე აბაშიდან აღებული წყალი, აღნიშნული 50 მმ მილის საშუალებით მიეწოდება 10 ტ ტევადობის რეზერვუარს, საიდანაც მოხდება მცენარეების მორწყვა. ხეხილის ბაღის მოსარწყავად ერთი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია ჯამში 5 000 $მ^3$ წყლის გამოყენება. (მდ. აბაშის წყალაღების GPS კოორდინატებია X=274590, Y=4693522.)

სარწყავი მილის მოწყობის დროს დამონტაჟდება 1 ცალი 3.0 $მ^3$/სთ წარმადობის ტუმბო წყლის მდინარიდან ამოსაღებად, რომელიც იმუშავებს ელექტროენერგიაზე და წელიწადში მოიხმარს 1500 კილოვატ ელ. ენერგიას.

ტერიტორია სადაც გაივლის მიწისზედა სარწყავი სისტემა წარმოადგენს მდინარის ჭალა-კალაპოტს და არ კვეთს კერძო პირების საკუთრებას. მილის განთავსების ტერიტორია განეკუთვნება ადგილობრივ თვითმართველობას და სამუშაოების დაწყებამდე შეთანხმდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.

სარწყავი სისტემის მოწყობის დროს სახიფათო და არა სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ ექნება.

ექსპლუატაციის ეტაპზე, შესაძლო ხმაურის წყაროს წარმოადგენს წყლის ტუმბო, რომლის სიმძლავრის და მოსახლეობიდან დაშორების გათვალისწინებით, მისი ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.
სამელიორაციო სისტემის მოწყობის ეტაპზე მილის პარამეტრების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო არეალის მდებარეობიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

პროექტის განხორციელებისას, როგორც მოწყობის, აგრეთვე ექსპლუატაციის ეტაპზე ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი არ არის.

სამელიორაციო სისტემის მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული სიტუაციებისა და კატასტროფების რისკები არ არსებობს. პროექტის განხორციელება არ საჭიროებს დამატებითი მისასვლელი გზების მშენებლობას.

სკრინინგის განცხადების თანახმად საპროექტო ზონის სიახლოვეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ აღინიშნება. საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ ფიქსირდება დაცული ტერიტორია.

ტექნოლოგიური პროცესის სპეციფიკიდან და ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარწყავის (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია არ არის დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მარტვილის მუნიციპალიტეტში ფ/პ ილია კოვალის სასათბურე მეურნეობისთვის სარწყავი (სამელიორაციო) სისტემის მოწყობა-ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ილია კოვალი ვალდებულია საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ფ/პ ილია კოვალს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ილია კოვალის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მარტვილის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი